

**პროგრამის სახელწოდება:** მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება

**პროგრამის სახე:** პროფესიული გადამზადება

**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:** 5

**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 9

**კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:** 12—25 სთ.

**სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა -** 151 სთ

**მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:**

მინიმალური - 6      მაქსიმალური -10

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

1. ასაკი მინიმუმ 18 წელი
2. წინარე ცოდნა - პროფესიული განათლება ვეტერინარიაში (მინიმუმ მე-3 დონე)

**პროგრამის მიზნები:**

პროფესიული გადამზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება“- მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც პროგრამის გავლის პერიოდში შეისწავლიან: იარაღებისა და აღჭურვილობების დეკონტამინაციის, დეზინფექცია-სტერილიზაციის პროცესის და უსაფრთხო ინექციის წარმართვის უზრუნველყოფას, ცხოველთა ანატომიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებს, ვეტერინარული მეანობის პროცესისა და სამეანო ღონისძიებების წარმართვას, ხელოვნური განაყოფიერების მეთოდებს და პროცესის განხორციელების პროცედურებს სტანდარტული უსაფრთხოების ზომებისა და პირადი ჰიგიენის წესების დაცვით.

მსმენელები პროგრამის დასრულების შემდეგ შეძლებენ დასაქმებას და კარიერულ წინსვლას ახალი კომპეტენციების გამოყენებით.

**სწავლის შედეგები:**

1. უსაფრთხოების ზომები და პირადი ჰიგიენის დაცვა ვეტერინარულ საქმიანობაში;
2. იარაღებისა და აღჭურვილობის დეზინფექცია; უსაფრთხო ინექციის უზრუნველყოფა;
3. ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები, გამრავლების ორგანოების ფიზიოლოგია;
4. ვეტერინარული მეანობის პროცესის აღწერა;
5. ხელოვნური განაყოფიერებისა და გინეკოლოგიური დისპანსერიზაციის მეთოდები და ტექნიკა;
6. სამეანო დახმარების წარმართვა;
7. ხელოვნური განაყოფიერების პროცესის განხორციელება.

### **პროგრამის მოკლე აღწერა:**

პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია სრულწლოვან პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს ახალი ცოდნა /უნარები აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, თეორიული კომპონენტის შესწავლა მოხდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიასა (A გარემო) და სასწავლო ლაბორატორიაში (C1 გარემო), პრაქტიკული კომპონენტი ჩატარდება C2 გარემოში- ს.ბ.გ.ც. „კავკასია“-ახალციხის ოფისი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის ხანგრძლიობაა 9 კვირა, 151 საკონტაქტო საათი, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 12-25 სთ.

სწავლების მეთოდებია: ლექცია, ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა.

ხოლო შეფასების მეთოდებია: ზეპირი და/ან წერილობითი გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.